პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 88 (19530) ◆ სამშაბათი, 15 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სახალხო მეურნეობის მუშაკებო! ხუთწლედის დასაწყისშივე მივაღწიოთ წარმოების ტემპ-რიტმს, წარმატებით შევასრულოთ 1986 წლის საგეგმო დავალებები და სოციალისტური ვალდებულებანი!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან)

გავაძლიეროთ ძალისხმევა, მივაღწიოთ მიზანს!

ქვეყნის ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის წინსვლაში გარკვეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს. პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა მრეწველობაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა და დამზადდა გათვალისწინებულზე 62,1 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი. ექვსი ერთეულით შემცირდა შარშანდელთან შედარებით იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ამ მხრივ დავალების შესრულებას.

რეალიზებულია ნავარაუდევზე 77,7 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია, მაგრამ ეს მოხდა მოწინავე საწარმოთა ხარჯზე. საქმე ის არის, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ მხრივ ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა 27-ით გაიზარდა და ეს სამწუხარო ფაქტია. დიდი რაოდენობის პროდუქცია დააკლეს სანალსო მეურნეობის რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმშოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებების, თბილისის „ჩარხშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. კვლავ ვერ დავაღწიეთ თავი მთლიანად ისეთ არასანიმონო სიტუაციას, როცა ძალზე სავრძნოში გადაჭარბებით ვასრულებთ პროდუქციის რეალიზაციის სავრთო გეგმებს, ხოლო მომხმარებლისათვის ვალდებულებით ნაწარმის მიწოდების დავალებას — ვერა. ყოველმა მერვე საწარმომ დაარღვია პირველ კვარტალში სახელშეკრულებო დისციპლინა. არადა, მიწოდების ვალდებულების შესრულება ახლებურად მუშაობის უცილობელი პირობაა, ამ საკითხს დიდი ყურადღება დაეთმო ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრისას. საერთოდ, პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობისა და განსაკუთრებით სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხარისხს უკავშირდება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რომელიც სკკპ XXVII ყრილობის ყურადღების ცენტრში მოექცა, საჭიროა იმისათვის, რომ მივაღწიოთ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას და პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას. ეს აზრი გასდევდა წინათ ზოლად ამხანაგ შ. ს. გორბაჩოვის სიტყვას ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრის დროსაც. ახლა ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია გამოვუშვათ, არამედ ისიც, რომ მთელ რიგ სახეობათა მისედვით დავამზადოთ უკეთესი ნაწარმი. ამიტომ პროდუქციის გაუმჯობესებისათვის უნდა ვიბრძოლოთ ყოველდღიურად — ეს გადაუდებელი ამოცანაა, ეს საკითხი უნდა მოექცეს სამეურნეო ხელმძღვანელებისა და მათი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, ამას შეუნელებელი კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

მიმდინარე წლის სამ თვეში საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და მისი მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,5 პუნქტით გაიზარდა. ამასთან, ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა შეამცირეს უმაღლესი კატეგორიის ხვედრითი წილი წარმოების მთლიან მოცულობაში. განსაკუთრებით ბევრია ასეთი საწარმოა ადგილობრივი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში.

229 საწარმომ შეამცირა ზემოხსენებულ პერიოდში შრომის ნაყოფიერება. უამრავია ასეთი საწარმო „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“, „სასაგრომრეწვისა“ და ადგილობრივი მრეწველობის სისტემებში. რამორჩნენ შარშან შიღწეულ დონეს ამ მხრივ აგრეთვე მეორეული ფერადი ლითონების სამმართველო, ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების, საიუველირო, ელექტრომეცადული მოწყობილობის, ჯვრის საცდელი სპეციალიზებული ქარხნები და მთელი რიგი სხვა საწარმოები. ეს იმის მიზეზია, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ ყველაფერი ვერ იღონეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარების პროგრამა მეთორმეტე ხუთწლედში და შემდგომ პერიოდში მომჭირნეობას ეფუძნება. კარგია, რომ ეს ჭეშმარიტება სადღესოდ ბევრმა შეიგნო და საამისო ღონისძიებებს ახორციელებს. სწორედ ამის შედეგია, რომ იანვარ-თებერვალში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა უმრავლესობამ გეგმით გათვალისწინებულზე მეტად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგა 6350 ათასი მანეთი.

სამაგიეროდ ასიათასობით მანეთის რესურსები გადაიხარჯა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის „ელმავალმშენებლის“, რუსთავის „ქიმშოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებებში, საკმაოდ გაძვირეს პროდუქცია აგრეთვე თბილისის სამშენებლო მასალების კომბინატში, ახმეტის ბიოქიმიურ, თბილისის „აგრეგატის“, გაზის აპარატურის, ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხნებში. იმედია, წამოთვლილ საწარმოთა კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

როგორ არის საქმე კაპიტალურ მშენებლობაში? მართალია პირველ კვარტალში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 24,5 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ძირითადი ფონდები ამოქმედდა, მაგრამ გეგმა ამ მხრივ მაინც ვერ შესრულდა მთლიანად. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა 104 პროცენტით, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის 117 პროცენტს შეადგენს. ეს კი მშვენივრად მეტყველებს მშენებელთა პოტენციურ შესაძლებლობებზე. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 100,1 პროცენტით შესრულდა საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველი კვარტალის გეგმა, რაც მთელი 46,6 პროცენტით სჭარბობს შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. როგორც ჩანს, კაპიტალურ მშენებლობაში ისახება სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ტენდენცია და ახლა საჭიროა არ დათმოთ მოპოვებული პოზიციები. იმედია, მშენებლები უმატებენ შრომის ტემპს, მთლიანად დაძლევენ ჩამორჩენას და ყველაფერს იღონებენ მშენებარე ობიექტების ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში წარმებით ითესება საგაზაფხულო კულტურები. ხაშურის რაიონში, მაგალითად, ეს კულტურები დათესა 7,4-ჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში, ხოლო ახპინძის რაიონში — 5-ჯერ, ახალციხის რაიონში — 3,7-ჯერ, ქარელის რაიონში — 3,1-ჯერ, თერჯოლის რაიონში — 2,3-ჯერ მეტ ფართობზე. ამ მიმართულებით ჯერ-ჯეროობით ჩამორჩებიან თეთრი წყაროს, თიანეთის, თელავის, მცხეთის, ბოლნისის, კახის, გურჯაანის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონები.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრისას ისიც აღინიშნა, რომ შრომითი კოლექტივების პირველი სერიოზული გამოცდა და ყრილობის გადაწყვეტილებებზე კონკრეტული პასუხი გახდება 1986 წლის გეგმის შესრულება. მიმდინარე, წელმა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედმა უნდა ჩაუყაროს მკვიდრი საძირკველი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციას, შეიქმნას მარავნაკეთი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი ფრონტით შემდგომი სწრაფი წინსვლისათვის.

ვუმატოთ შრომის ტემპს, გავაძლიეროთ ძალისხმევა და მნიშვნელოვნად მეტს მივაღწიოთ მეორე კვარტალში. ყოველდღიურად ეიხელმძღვანელოთ მუშაობაში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული კონკრეტული პროგრამით, მხარი დავუჭიროთ თბილისელი მუშების-სკკპ XXVII ყრილობის დელეგატების ინიციატივას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმის შესრულების თაობაზე, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მიზნის მისაღწევად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ნათქვამია: **საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიეაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას სასალხო მეურნეობის განვითარებაში! უზრუნველყოთ უმაღლესი ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ეკონომიკისაკენ მკვეთრი შემობრუნება!**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყველანი-კომუნისტურ შაბათობაზე!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ფართოდ უჭერენ მხარს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას — 1986 წლის 19 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობა. შრომითი კოლექტივები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კისრულობენ ვალდებულებებს შაბათობის დღეს მიაღწიონ შრომის უდიდეს ნაყოფიერებას, იმუშაონ დაზოგილი რესურსებით, მასალებით, ნედლეულით, უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, გამომუშავებული სახსრები კი გადარიცხონ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კომუნისტური შაბათობის დღეს იშრომოს დამკვრელურად, 108 პროცენტით შესასრულოს დღიური ნორმა. ელექტრო-მემონტაჟეთა ბრიგადამ, რომელსაც პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი გ. მეტონიძე მეთაურობს, გადაწყვიტა შაბათობის დღეს დაამთავროს ვლ-11 მარკის ერთი ელმავლის ელექტრომონტაჟი და ამასთან 17 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს დღიური დავალება. ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი პროდუქციის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება გადაწყვიტეს ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა. სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის წარჩინებულმა მემანქანემ, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯ. ქორიძემ გადაწყვიტა შეასრულოს ორი დღის ნორმა, დაზოგილი ელექტროენერგიით გადაზიდოს 6 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მრავალმა საამქრომ, ბრიგადამ, უბანმა, წარმოების მოწინავემ ვალდებულება იკისრა 19 აპრილს შეასრულოს მიმდინარე წლის ოთხი თვის საგეგმო დავალებანი. კომუნისტური შაბათობის დღეს ზეგეგმიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა რეგიონის შრომითმა კოლექტივებმა. მშრომელები, რომლებიც დასაქმებული არ არიან წარმოების სფეროში, მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დასახლებული პუნქტების ტერიტორიების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის მუშაობაში, ჯართის, მაკულატურის შეგროვებაში, ვაგონების გადმოტვირთვაში და ა. შ.

ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის საქმისადმი ზერელე, ზოგჯერ კი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო კომუნისტური შაბათობების შედეგად მიღებული და სოციალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის გამიზნული სახსრების ათვისებაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია, რისთვისაც სკკპ XXVII ყრილობაზე სამართლიანად გაკიცხეს საქართველოს სს რესპუბლიკა.

მაგალითად, მეთერმეტე ხუთწლედის განმავლობაში, კომუნისტური შაბათობების დროს გამომუშავებული სახსრების ხარჯზე ჯანმრთელობის დაცვისა და სკოლამდელი დაწესებულებების ობიექტების მშენებლობისათვის გამოიყო 13,1 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, მაგრამ ათვისებულია მხოლოდ 12,7 მილიონი მანეთი, ანუ 97 პროცენტი. ამ ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 94 პროცენტით შესრულდა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №4 და № 13 ტრესტებმა ვერ უზრუნველყვეს ყველა ობიექტის მიხედვით გამოყოფილი სახსრების ათვისება.

აღნიშნული ობიექტებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისებას სათანადო კონტროლს არ უწევდნენ არც შესაბამისი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელიც შემკვეთის ფუნქციებს ასრულებდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საბალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პირველად პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალა გაშალონ მიზანმიმართული მუშაობა, რათა დარაზმონ მშრომელები მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ლენინური კომუნისტური შაბათობის მოწყობისათვის. დასახულია მასების დიდი შრომითი აღმავლობისა და შემოქმედებითი აქტიურობის ვითარებაში შაბათობის მოწყობის სხვა კონკრეტული ორგანიზატორული და პოლიტიკური ღონისძიებანი.

შაბათობის დღეს გამომუშავებული ხელფასი და მიღებული მოგება მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები, მშრომელები უზრუნველყოფენ ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობის მოწყობას მაღალ დონეზე, ცხადყოფენ თავიანთ ურყევ გადაწყვეტილებას განუხრელად განახორციელონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).



„თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც სკკპ წევრობის კანდიდატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სალამოს განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი თენგიზ ფოფხაძე ხელმძღვანელობს, დროის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს.

ამჟამად ეს ბრიგადა ერთ-ერთი შახტის დემონტაჟზე მუშაობს და გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს ყველა სამუშაო, რომლის დამთავრების შემდეგაც კოლექტივი მეტროპოლიტენის ახალი მონაკვეთის — დელახი-ვაჟა-ფშაველას ხაზის მშენებლობას შეუდგება.

სურათზე: (მარცხნიდან) თენგიზ ფოფხაძე და მისი ბრიგადის მერგოლური, სკკპ წევრობის კანდიდატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მურმან ღონღაძე.

ა. საკაკოვის ფოტო.

ხუთწლედის დავალებას — ენერგია და შემართება

ვადამდე

ტყიბული. (საკ. კორ.) ქალაქის მშრომელები თავდადებით იბრძვიან წლევანდელი გეგმის ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ სამრეწველო საწარმოები. ქალაქის მრეწველობამ ვადაზე 5 დღით ადრე გამოუშვა მიმდინარე წლის პირველი კვარტალით გთვალისწინებული 16.850 ათასი მანეთის სანაცვლო პროდუქცია, რაც 8,8 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მატება მიღწეულია რეზერვების ამოქმედებით და შრომის ნაყოფიერების ზრდით. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის და მინდელის სახელობის შახტები, ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოსა და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. საწარმოებში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის.

გეგმის გადამეტებით

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეცხოველეებმა პროდუქტების დამზადების სამი თვის დავალება ვადაზე ადრე — 27 მარტისათვის შეასრულეს. სახელმწიფოს საგეგმოს გადამეტებით მიეყიდა 115 ტონა ხორცი, 20 ტონა ხორცი და სხვა პროდუქტები. ამასთან წელს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებია მიღწეული.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანას არსებობის 30 წლის მანძილზე გარკვეული წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში.

ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, თანამედროვე მოწინავე პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას: აქ განსაკუთრებით ზრუნავენ საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის დამზადებისათვის, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა პროდუქციის მთლიან მოცულობაში 54,3 პროცენტი შეადგინა. საგულისხმო ფაქტია ის, რომ მიმდინარე წლის ორ თვეში ქარხნის კოლექტივმა მომზმარებელს გეგმის გადამეტებით 40 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია მიაწოდა.

ქარხანაში ყველაფერი კეთდება საწარმოდ უბნების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისთვის. ამ მიზნით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით საწარმო მეჩიდრო კავშირი დაამყარა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავის მართვის ინსტიტუტთან. ჩეხ მეცნიერებთან შემოქმედებითი ურთიერთობითა და მათი გამოცდილების გაზიარებით საწარმოში რამდენიმე ბრიგადა შრომის ორგანიზაციის ახალ მეთოდებზე გადავიდა. ამან კიდევ

ზრდიან ხარისხისნიშნიან პროდუქციას

მომ მეჩიდრო კავშირი დაამყარა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავის მართვის ინსტიტუტთან. ჩეხ მეცნიერებთან შემოქმედებითი ურთიერთობითა და მათი გამოცდილების გაზიარებით საწარმოში რამდენიმე ბრიგადა შრომის ორგანიზაციის ახალ მეთოდებზე გადავიდა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი თითოეულ სამუშაო უბანზე შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

საწარმოს კოლექტივი ცდილობს მეთორმეტე ხუთწლედი კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავროს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქაურმა მშრომელებმა მომზმარებელს გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია მიაწოდა, ათობით საწარმოს მშრომელებმა მხარი დაუჭირეს თბილისელი მუშების — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატების ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ. პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში დაწინაურდა ქარხნის მუშაკთა უმრავლესობა. („კომუნისტის“ კორ.).

ერთსულოვნება, შემართება

დმანისი. (საკ. კორ.). ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები აქედანვე ენერგიულად შრომობენ. დაამთავრეს ერთწლოვანი საკვები კულტურების თესვა. წინასწარ მოხნულ და განოყიერებულ 352 ჰექტარ ფართობზე უკვე დაითესა ბალახების, შვრის, ბარდის კონდიციური თესლი. ამჟამად მიწათმოქმედთა გულისყური მიპყრობილია კარტოფილის თესვისაკენ. მექანიზატორები ა. ზურაბიშვილი, გ. ტატუაშვილი, შ. ავალიშვილი, ბ. ასლანიშვილი და სხვები ყოველდღიურად საშუალოდ გეგმის გადამეტებით ჰექტარ კარტოფილს თესავენ.

— ვარდისუბნელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს განსაკუთრებული შრომის ნაყოფიერებით აღნიშნონ „წითელი შაბათობის“ დღე. ამ დღეს ისინი იშრომებენ კარტოფილის ნათესების კულტივაციაზე და ამ სამუშაოს მაღალხარისხოვნად შეასრულებენ 15 ჰექტარზე. საერთოდ ნათესების კარგი მოვლით 100 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საგეგმო 148 ცენტნერის ნაცვლად წელს ვაწარმოებთ 160 ცენტნერ კარტოფილს, — თქვა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. ფარემბაშვილმა.

წითელი შაბათობა დიდი შრომის ნაყოფიერებით აღინიშნება გომარეთის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში, სადაც ამ დღეს შესრულდება 750 მანეთისაზე მეტი სამუშაოები, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში სრულდება. გომარეთელები 600 მანეთის გადარიცხავენ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

გარდაბანი. (საკ. კორ.). ულიანოვსკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ორასი მშრომელი იმუშავებს ზვრებში, ხეხილის ბაღებსა და ბოსტნებში, სადაც შესრულდება აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები. მეცხოველეები გარდა იმისა, რომ თავიანთ ძირითად მოვალეობას შეასრულებენ, კეთილმოაწყობენ ფერმის ტერიტორიას. შაბათობის დღეს გამომუშავებული თანხიდან 850 მანეთს გადარიცხავენ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

უპირატესი ტემპით მუშაობენ გარდაბნის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები, რომლებიც შაბათობის დღეს შეასრულებენ წველადობის 4 თვის დავალებას. კიროველთა გადაწყვეტილებაა ხუთწლედის ყულაბაში შეიტანონ 400 მანეთი.

ეკრანი და დრო

საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობა

ერთ თვეზე ოდნავ მეტი გავიდა, რაც სკკპ XXVII ყრილობა დამთავრდა. მაგრამ დღესაც გაისმის ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მძლავრი ხმა მთელ მსოფლიოში, კეთილი ნების ადამიანთა გულს აღავსებს იმედითა და მტკიცე რწმენით, რომ ურყევია ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა, რომლის მიზანია უომო, ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიო. ყრილობის მთელმა მუშაობამ, მკაფიო, ახალი იდეებითა და დასკვნებით აღსავსე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ, რომელიც ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის . გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, მის მიერ წამოყენებულმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამამ დაადასტურა სოციალიზმის ავანგარდული როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მაგისტრალურ მიმართულებებზე.

საბჭოთა ინტელიგენციამ ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი აღიქვა მოქმედების სახელმძღვანელოდ, ცხოვრებისეული გამოცდილების წყაროდ, რომელიც ახალ იმპულსს ანიჭებს შემოქმედებას. ქართულ კინემატოგრაფს — მთელ მსოფლიოში აღიარებული მრავალეროვნული საბჭოთა კინოს ერთ-ერთ მოწინავე რაზმს — თავის დღევანდელ ამოცანად ის მიაჩნია, რომ ეს იმპულსები აქციოს შემოქმედებით წარმატებებად, მიაღწიოს ახალ სიმაღლეებს, ახალ მხატვრულ აღმოჩენებს.

ქართული კინემატოგრაფის დიდ ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ფილმს „ცისფერ მთებს“ მიენიჭა საკავშირო ფესტივალის პირველი პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, ხოლო სურათმა „შშობლიურო ჩემო მიწავ“ მოიპოვა მილიონობით საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და აღიარება და წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე ქართველ კინემატოგრაფისტთა თოლმა რიგმა ფილმებმა მოიპოვეს პრემიები, დაიმსახურეს. მაღალი შეფასება საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობაზე პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ითქვა, რომ ქართულმა კინემატოგრაფმა — მთელ მსოფლიოში აღიარებული მრავალეროვნული საბჭოთა კინოს ერთ-ერთ მოწინავე რაზმს — თავის დღევანდელ ამოცანად ის მიაჩნია, რომ ეს იმპულსები აქციოს შემოქმედებით წარმატებებად, მიაღწიოს ახალ სიმაღლეებს, ახალ მხატვრულ აღმოჩენებს.

ქართული კინემატოგრაფის დიდ ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ფილმს „ცისფერ მთებს“ მიენიჭა საკავშირო ფესტივალის პირველი პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, ხოლო სურათმა „შშობლიურო ჩემო მიწავ“ მოიპოვა მილიონობით საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და აღიარება და წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.

ეს მიღწევები, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, განუყოფელია ქართული საბჭოთა კულტურის საერთო წარმატებებისაგან, მტკიცედ ეყრდნობა წარსულის მდიდარ ტრადიციებს. კინემატოგრაფი მოვალეა ამკვიდრებდეს, განამტკიცებდეს იმას, რასაც წინანდელმა და ახლანდელმა თაობებმა მიაღწიეს. თქვა, რომ შემოქმედებითი კავშირის ყოველი ყრილობის მნიშვნელობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვსაზღვრავდეთ მხოლოდ დღევანდელობით. ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენი წინამორბედების — რეჟისორების, კინოს იმ სხვა მოღვაწეების მიერ გაკეთებულს, რომლებმაც ქართულ კინოს დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს.

ქართული კინემატოგრაფი, აღინიშნეს ორატორებმა, ერთგულად ემსახურება თანამედროვეობას. ამასთან იგი მომავლისკენ არის მიმართული. დღევანდელი ფილმებით ხომ შთამომავლები იმსჯელებენ ჩვენი თანამედროვეების საქმეების, ახლანდელ ეტაპზე სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში კინოხელოვნების კონკრეტული წვლილის შესახებ. ამიტომაც უფლება არა გვაქვს ვიღებდეთ ცუდ, ისეთ ფილმებს, რომლებიც არაფერს არ აძლევენ გონებასა და გულს, ზერელედ ასახავენ საზოგადოებრივ პროცესებს.

ადგას რა სიმართლის გზას, ქართული კინემატოგრაფი თავის ნაწარმოებებში ფართოდ წარმოაჩენს თანამედროვის სოციალურ ინტერესებს. მაგრამ ქართული სტუდიის ემბლემით ეკრანებზე ჯერ კიდევ გამოდის ფილმები, რომელთა ნახვის შემდეგ უნებურად გებადება კითხვა: „რას და რისთვის ვიღებთ? ვისთვის არის განკუთვნილი ეს ფილმები?“

სცენარიდან მაღალ იდეურ დონეზე შექმნილ ფილმამდე უდიდესი მუშაობის გაწევა გვიხდება. ამ მუშაობაში მონაწილეობენ სცენარისტი, რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი, მსახიობები, გრიმიორები, კოსტიუმერები, გამნათებლები, მძღოლები, დამხმარე მუშები — ერთი სიტყვით, საერთო მიზნით გაერთიანებულ თანამოაზრეთა უზარმაზარი კოლექტივი. და იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ამ რთული მექანიზმის თითოეული რგოლი, დიდად არის დამოკიდებული საბოლოო შედეგი. ეს შედეგი — ფილმი — უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მაყურებლის გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს. კინემატოგრაფისტთა სოციალური შემკვეთი ხომ სწორედ მაყურებელი, ხალხია.

ყრილობამ დაასახელა მთელი რიგი კარგი ფილმები და სინანულით აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხუთწლეულში გამოჩნდა აგრეთვე კინოსურათები, რომლებსაც არ გამოუწეველეთ ფართო მაყურებლის ინტერესი, სწორედ ასეთი ქართული ფილმები საამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნიდან. შესაძლოა ეს ფილმები ეკრანზე არც გამოსულიყო, მათ შექმნას მეტი მომთხოვნელობით რომ მოკიდებოდნენ საქართველოს სახკინო, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „საქართული ფილმი“, ჩვენში რომ მოწოდების დონეზე იდგეს კინოკრიტიკა. დიდია რესპუბლიკაში გამოშვებული ყოველწლიური კინოპროდუქციის მოცულობა. ამიტომ ნათელია, თუ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:

ᲛᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲐ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲓᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ!

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲡᲙᲙᲐ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ და საქართველოს კომპარტიის XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ნოვატორული მიზნადასახულობანი შრომითს კოლექტივებს აიარაღებენ აქტუალური სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამით, პარტიულ ორგანიზაციებს ანიჭებენ ინიციატივისა და პრაქტიკული მოქმედების მძლავრ იმპულსს, რომელთა მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ეს ითქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის შედეგები და საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ადლეიბას მოხსენებაში, მოკამათეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ მრავალეროვანი აფხაზეთის კომუნისტები, ყველა შრომელი მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსს და კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას ქვეყნის, ყველა მისი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესახებ. ყირიმის გახსნის დღეს ავტონომიური რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა სამშობლოს უპატაჟეს მიმდინარე წლის პირველი ორი თვის საგეგმო დავალებათა შესრულება. ვადამდე გაართვეს თავი მათ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებებსაც.

განსაზღვრეს რა წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის მიჯნები, პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის „დაჩქარებას, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს აფხაზეთში დასახულია გეგმის გადაჭარბებით აწარმოოონ 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, განაახლონ სახალხო მოხმარების საქონლის ნომენკლატურა და გააფართოონ ასორტიმენტი. აგროსამრეწველო კომპლექსში უკვე ოთხმოცდაათიანი წლების დაძლევისათვის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უნდა დაამზადოს 114 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 100 ათასი ტონა ციტრუსი, სხვა პროდუქცია, რომლის საერთო მოცულობა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს გასული წლების მაჩვენებლებს. უნდა განხორციელდეს აგრეთვე მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი კაპიტალური მშენებლობის, მომსახურების სფეროს, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების შემდგომი განვითარებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა მიერ შექმნილი საამედო მარაგსაკეთი, ახალ ხუთწლედში წარმატებული სტარტი, ითქვა პლენუმზე, დასახულის შესრულების ყველა წანამძღვარს ქმნიან. ამავე დროს შეშფოთების იწვევს ის, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო კვლავაც ძველებურად მუშაობს და ვერ აღწევს დაჩქარების მაღალ შედეგებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალაქებში სოხუმსა და ტყვარჩელში გაჩნდა საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, სადაც ჯეროვნად არ ზრუნავენ მატერიალური, ფინანსური დანახარჯების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის გაიაფებისა და ამავე დროს მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი ხარისხი.

ყოველ პარტიულ კომიტეტსა და პირველად პარტორგანიზაციას პლენუმმა მოსთხოვა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა შრომის, საწარმოო, საშემსრულებლო დისციპლინის გაძლიერებისათვის, ახალი ძალით გააჩაღონ ბრძოლა ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ. სწორედ ამას ისახავს მიზნად სკკპ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ და საქართველოს კომპარტიის XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა, რომელიც პლენუმმა დაამტკიცა.

მიღებულ დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელი ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამის შესრულებაში.

Ი. ᲒᲝᲒᲔᲩᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲙ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲥᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲚᲠᲛᲐᲓ გაიაზრონ სსკპ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ საპროგრამო მითითებანი, ძირითადი ყურადღება დაუთმონ მის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ შესრულებას თავისი რეგიონის, თითოეული ქალაქისა და სოფლის, თითოეული შრომითი კოლექტივის კონკრეტულ პირობებში — აი, მთავარი მოთხოვნა, რომელიც წაყენებული აქვთ ამჟამად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს. ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მათი ამოცანები განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგმა სხდომამ. მისმა მონაწილეებმა განუხილეს ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის მიიღეს პარტიის XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებანი და დასკვნები, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ რეზოლუცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

მიღებულ დადგენილებაში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაევალათ მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ პარტიის იმ მოთხოვნათა განუხრელი განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოების როლის გადიდებას მართვის, ტერიტორიული დაგეგმვისა და მეურნეობრიობის სრულყოფაში, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებისათვის, საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებაში.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ — ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ხალხის სახელოვანი წარსული და მისი უახლოესი გრანდიოზული მერმისი თითქოს ერთმანეთს დაუკავშირდა ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმის კონფერენციდარბაზში. აქ გაიმართა თბილისის ვეტერანთა საზოგადოებრიობის აქტივის შეხვედრა სკკპ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ დელეგატთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან პ. გ. გილაშვილთან.

შეხვედრა გახსნა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. ტ. თავაგთქილაძემ.

ამხანაგმა გილაშვილმა დამსწრეთ უამბო, თუ როგორ მიმდინარეობდა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მუშაობა, გაუზიარა მათ შთაბეჭდილებანი ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფეროს შესახებ. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲖᲔ, კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს საქმეებში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს ზრუნვამ უფროსი თაობისათვის — ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, და საჭიროა „განვაზორციელოთ დამაყრილობის ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐ, ᲠᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ?

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ მიერ დასახული ამ და სხვა საკითხების გადაწყვეტაში საბჭოებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და პასუხისმგებლობა თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროში საქმის ვითარებისათვის. და აქ მეტად საჭიროა, ხაზგასმულია დადგენილებაში, ყოველმხრივ გავაძლიეროთ ადამიანთა აქტიურობა, თანამმდევრულად განვახორციელოთ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში თითოეული მშრომელის ჩაბმის ლენინური პრინციპი. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი, რათა კონტროლი და კოორდინაცია გაუწიონ ანგარიშვალდებული ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, სრულყონ დეპუტატთა მუშაობა, გადაჭრით გაადიდონ მათი პასუხისმგებლობა სახალხო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის დონის ამაღლებისათვის, სოციალისტური თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისათვის.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რეკომენდაცია მიეცათ თავიანთ სესიებზე განიხილონ პარტიის XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები. ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ, მომთხოვნელად და თვითკრიტიკულად გააანალიზონ სამეურნეო-ორგანიზატორული, ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, პრაქტიკულად უზრუნველყონ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ მითითებათა და მოთხოვნათა რეალიზაცია. საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მუდმივ კომისიებს.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში რესპუბლიკაში გაიმართა სოფლის ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ და მოქალაქეთა კრებები დევიზით „ამრავლოს მშობლიური სოფლის კეთილი ტრადიციები — თითოეულისა და ყველას ღირსების საქმეა!“. გაანალიზა რა მათი შედეგები, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მთლიანად ისინი ორგანიზებულად მოეწყო.

(მაგრამ, როგორც ანალიზმა ცხადყო, საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები მოქალაქეთა კრებებისა და სოფლის ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ მოწყობისათვის თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ საკმარისად არ ეყრდნობიან საზოგადოებრიობას. ცალკეულ დაბებსა და სოფლებში დაკნინებულია ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ როლი, ისინი ხშირად იმართება ფორმალურად, მოქალაქეებისათვის საინტერესო კონკრეტული საკითხებისაგან მოწყვეტით.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოქალაქეთა კრებებისა და სოფლის ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკის სრულყოფა.

სხდომაზე განხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ვ. მელქაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობისა და იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ახორციელებს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებების რეალიზაციისათვის.

პრეზიდიუმმა მოიწონა სკკპ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ და საქართველოს კომპარტიის XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის იმ უპირველეს ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც დასახულია 1986 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში განხორციელებისათვის, განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გარდაქმნა სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. მარატ ვლადიმერის ძე **ᲒᲠᲐᲛᲝᲕᲘ.**

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲠᲘᲛᲓᲐᲜᲘᲡᲣᲚᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲑᲖᲔᲣᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ“ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ“ მოუვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება; მასში აღძრული საკითხებზე სერიოზულად იმსჯელეს პარტიის ჩოხატაურის რაიჭომმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა. არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები. უპირველესად ყურადღება მიექცა მთის სოფლების გზების რეკონსტრუქცია-გაფართოებასა და კეთილმოწყობას. ამჟამად მიმდინარეობს ვან-ზომლეთის გზის მშენებლობა, დაწყებულია თავპანტა-ნაბეღლავის გზის რეკონსტრუქციის სამუშაოები. დაზიანებული თოთხმეტი ხიდიდან შვიდი შეკეთებული და აღდგენილია. ამუშავდა ასფალტ-ბეტონის დამამზადებელი ქარხანა. დიდთოვლობის გამო საგრძნობლად დაზიანდა ბახმაროსა და მთის სოფლების სატელეფონო ხაზები, რომელთა აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. დამონტაჟდა სარეტრანსლაციო შუალედური სადგური, რითაც გაუმჯობესდა სატელევიზიო გამოსახულებათა მიღება კოხნარში, წიფანგვარაში, ნაბეღლავსა და სხვა სოფლებში. მართალია, რაიონის საავადმყოფო შეკეთდა, მაგრამ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც უძლურია და ჯანდაცვის სამინისტრომ დროულად უნდა მოახდინოს მისი რეკონსტრუქცია-გაფართოება.

რაიონში სავაჭრო ობიექტთა, წყალსადენის გაყვანილობის შიდა ქსელისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის შემუშავდა ღონისძიებათა პროექტი.

კურორტ ბახმაროში წლეულს დაიწყება ყოველდღიური მოთხოვნილების მაღაზიებისა და სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, ხოლო „საქკოლჯანმრთელობის“ დაკვეთით შემუშავდება 250-ადგილიანი დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლის პროექტი, მდინარე ბახვისწყალზე გათვალისწინებულია ხიდის აგება.

რაიონში მწვავედ იგრძნობა მიგრაცია. ამ მხრივ ყველაზე მტკივნეულია დიდვანი-სურების ზონა.

პარტიის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა დიდვანში გასვლითი სხდომა მოაწყვეს, რომელზეც ფართოდ განიხილეს სოფლის ავ-კარგი. აქ უკვე დაწყებულია დაბალი ძაბვის ქსელების მშენებლობა, ხოლო მომავალში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც განხორციელდება.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ შესაბამისმა უწყებებმა და სამინისტროებმა.

წერილში არაერთი სამინისტრო იყო გაკრიტიკებული მშენებარე ობიექტებისადმი უყურადღებობისათვის. აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ რედაქციისადმი გამოგზავნილ პასუხებში მათი ხელმძღვანელები გვპირდებიან, ქმედითს დახმარებას გაუწევენ რაიონს და ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადადგმულიაო.

რა შედეგს გამოიღებს ეს ნაბიჯები, როგორ იქცევა ჩანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად, დაპირება — კონკრეტულ საქმედ? ამ საკითხებს კვლავაც დავუბრუნდებით.

ᲡᲜᲠᲐᲤᲘ ტემპით მიმდინარეობს სიმინდის თესვა ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქაური მემინდვრეები წელს 140 ჰექტარზე დათესავენ სიმინდს. მოწინავე მექანიზატორები თემურ და მიხეილ ალიაშვილები, ჯიმშერ კბილაცეცხლაშვილი, გურამ ნახიპაშვილი, რევაზ ბექურაული, მალხაზ ქაჯე საგეგმო 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 14-16 ჰექტარზე თესავენ სიმინდს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ილია ხოსიკურიძე, მოწინავე მექანიზატორი მიხეილ ალიაშვილი და ენტომოლოგი ირაკლი ყიზილაშვილი ამოწმებენ სიმინდის თესლის ხარისხს; სამარცვლე სიმინდის თესვა.

Თ. ᲒᲔᲜᲑᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.



ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲒᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ

ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის ზრუნვა უპირველეს საბრძოლო ამოცანად არის დასახული. მთავარი ყურადღება საკუთარი წარმოების იაფფასიანი საკვები ბაზის განმტკიცებას ექცევა, რადგან სწორედ იაფი და ყუთათიანი საკვებია მეცხოველეობის რენტაბელობის საფუძველი. ამ მიზნით ითვისებენ ეგრეთ წოდებული „მიგდებული“ მიწის ნაკვეთებს, მთისწინა ფერდობებს, ტყის ნაპირებს. მცირემოწიან რაიონში ფართოდ ნერგავენ მრავალწლოვანი და შუალედური კულტურების წარმოებას. ის, ვინც ერთხელ დარწმუნდა ტურნეფსის, რაფსის, შვრიის, სამყურას უხვმოსავლიანობისა და ყუთათიანობის სიკეთეში, ცდილობს გაარკვეცოს ამ კულტურების ნათესების ფართობები. ამაზე იყო ლაპარაკი წალენჯიხის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციის შემდეგ რა კეთდება? ამაზე გვაქვნება ლაპარაკი ამ კორესპონდენციაში.

ახლა, საზოგადოებრივი მეურნეობების რომელი ფერმაც უნდა დაათვალიეროთ, მათ ირგვლივ მწვანედ ხასხასებს კარგად მოვლილი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების ნათესები. ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელებით შარშან (წინა წელთან შედარებით) რაიონში თითოეული პირუტყვისათვის დამზადეს 5,2 ცენტნერით მეტი საკვები ერთეული. მათ შორის დიდი რაოდენობით დაამზადეს სილოსი, სენაჟი, საფურაჟე სიმინდი.

სასურსათო პროგრამის უთუოდ განხორციელებისათვის საკვებთან ერთად საჭიროა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ზოოვეტმომსახურების მაღალი დონე, ბერწიანობის აღკვეთა, კეთილმოწყობილი კაპიტალური ფერმები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათი აღჭურვა და სხვა ის სიკეთე, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქტების წარმოების მატებას. ამისთვისაც იზრუნეს მეურნეობებმა. შეიქმნა ახალი საწარმოო სიმძლავრეები, ჯიშიანი ხბოების გამოსაზრდელი და სასუქებელი ფერმები. ამაღლდა დარგისადმი ხელმძღვანელობის დონე, გაიზარდა მინდობილი საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობა.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲒᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ

ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ-ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის რაიონულ საწარმოს რეგულარულად შემოაქვს. ორი კოლმეურნეობისათვის საკვები საამქროების დანადგარები მოიტანეს და ამონტაჟებენ. მომავალში ასეთი საამქროები ყველა მეურნეობაში მოეწყობა.

ზრუნვას შედეგიც მოჰყვა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის სულადობა. იმატა პროდუქტების წარმოებამ და სახელმწიფოსათვის მიყიდვამ. წინა გამოზამთრების პერიოდთან შედარებით ახლანდელი გამოზამთრების ხუთ თვეში რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 786 ცენტნერით მეტი რძე, სახელმწიფოს მიეყიდა 168 ტონით მეტი ხორცი.

იქ, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თუ მეურნეობის დირექტორს შეგნებული აქვს მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების მნიშვნელობა, მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც ვ. კვარაცხელია ხელმძღვანელობს, ფერმების პირუტყვი ისეთია, ხატოვნად რომ იტყვიან, ავთვალს არ ენახვება. კარგად დათბუნებულ შენობებში სანიმუშო სისუფთავეა, მომვლელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო-კულტურული პირობები კარგია, საკვების წლინახევრის მარაგი ხარისხოვნად დაბინავებულია, ყველა პირობაა სანიმუშო გამოზამთრებისა და პროდუქტების სიუხვისათვის. წინა გამოზამთრებასთან შედარებით აქ ყველაფერში მატებაა.

მიღწევათა ფონზე გულსატკენია ჩრდილებიც, რომელიც განვითარებული მეცხოველეობის მეურნეობებშიც შეიმჩნევა. წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს მეცხოველეობის აღმავლობისათვის. საკვების ყაირათიანად ხარჯვით, პირუტყვის სანიმუშო მოვლით გააღიდეს რძისა და ხორცის წარმოება და დამზადება. დიდძალი კაცის სოციალური პირობებისათვის ზრუნვა.

რაიონში მკაცრი კონტროლი დაუწესდა საკვების ხარჯვას. დიდი იყო წარმოებულ პროდუქციაზე საკვები ერთეულის დანახარჯები და შესაბამისად მისი თვითღირებულება. მდგომარეობა ამჟამად საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ცენტნერი რძის წარმოებაზე ჯერ კიდევ ნორმაზე მეტ საკვებს ხარჯავენ წალენჯიხის �tinal, ჯგალის კვარაცხელიას, საჩინოს კომუნაროვის, ჭალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. საკვები ერთეულების დეფიციტს განიცდიან საჩინოს კომუნისტებისა და სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში. ამაზე დინარეობს ოპერატიული ბრძოლა. რაიონში პირუტყვის კარგად მოვლა-პატრონობის შედეგად თითოეულ ფურზე წლის ბოლომდე მიიღებენ 2.500 კილოგრამამდე რძეს, მნიშვნელოვნად გაკეთებულ ხორცის ორმოებსა და დამზადებას.

[illegible] ისახავს. [illegible] ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ დაკომპლექტებას ჯიშიანი პირუტყვით, ფფრის საშუალო წველადობა გაიზრდება 3 ათას კილოგრამამდე, მხოლოდ კარგად ნასუქი საქონელი მიეყიდება სახელმწიფოს — თითოეული სულის წონა 270 კილოგრამზე მეტი იქნება. ამისათვის დიდი ყურადღება მიექცევა საღეღმამისო წონამატებას.

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა რაულ ჯახიამ გვითხრა: წალენჯიხელები ოდითგანვე მისდევდნენ მეცხოველეობას, მათი შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ ეს იყო. მის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. რაიონის სავარგულები ჩაის კულტურამ დაიკავა. ასე რომ, პირუტყვისათვის საძოვრები თითქმის აღარ დარჩა. ამიტომაც ეს მნიშვნელოვანი დარგი, როგორც იტყვიან, სულს ღაფავდა. მაგრამ რეზერვების ამოქმედებით, მეცნიერების მიღწევების დანერგვით მცირემოწიან მეურნეობებში ერთწლოვანი საკვები კულტურების უხვ მოსავალს ვიწევთ. ძირხვენებიც დიდად გვშველის. ბევრგან წელიერად ერთწლოვანი კულტურების ორი მოსავალი მოჰყავთ. მკაცრი კონტროლი დავუწესეთ საკვების ეფექტიან და უდანაკარგო ხარჯვას.

მეთორმეტე ხუთწლედში აშენდება ახალი ფერმები, სადაც შრომა მთლიანად მექანიზებული იქნება. გავზრდით იაფფასიანი საკვების წარმოებას, განვაზორციელებთ სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევას.

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
Თ. ᲩᲐᲩᲘᲫᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲙᲙᲐ. ᲙᲝᲠᲡ-ᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲐ

ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲡ მაშინ აქვს ფასი, როცა საქმეს შველის, ჯარიმა საწქციაა ანუ სასჯელი რაიმე დანაშაულისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი გვექნება დანაშაულის ისეთ მეტად გავრცელებულ და საზიანო ფორმაზე, როგორიც არის ანტისანიტარია, ანუ, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პერსონაჟი რომ ამბობს, „სასჯელი ჭუჭყში ჯდომისათვის“. უმეტესად ეს დრამა ასე თამაშდება: დახლში დგას წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანხალათიანი მგბუფეტე ან მზარეული, გარეშო — ჭერი და კედლები დახეთქილია, იატაკი აყრილი... ამ დროს შემოდის სანიტარიულ ექიმად წოდებული პიროვნება და თუ მექრთამე არ არის, უარს ამბობს დახლიდარის სი

ეკონომიკა და დრო

(დასასრული)

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში დიდი ეფექტიანობის ფონზე არის აგრეთვე ნაკლოვანებანი, გადასაჭრელი პრობლემები. რა თქმა უნდა, ხელოვანი უნდა ამჩნევდეს, შესაბამისად აფასებდეს მათ. მაგრამ იგი ამას უნდა აკეთებდეს კეთილმოსურნეობ, საქმის ცოდნით, არ ამუშებდეს ფერებს იქ, სადაც ეს საჭირო არ არის, • ყურადღება არ გადაჰქონდეს უმნიშვნელო მოვლენებზე, ღრმად წვდებოდეს პრობლემას, ხელს უწყობდეს საზოგადოების წინსვლას. ამასთან კინემატოგრაფი ვალდებულია, ეროვნულ ყოველსა, დაინახოს ადამიანი შემოქმედი და აღმშენებელი, ჩვენი მიწის ბატონ-პატრონი, ამ დროს ფილმების ავტორებს ეს ზოგჯერ ავიწყდებათ. კინოკრიტიკა კი ხშირად არ ამბობს თავის აზრს, ადგება მტკიცე პოზიციას, არ მონაწილეობს ფილმის შექმნის შემოქმედებთან პროცესში და თავისი „განაჩენი“ გამოაქვს მხოლოდ ეკრანზე ფილმის გამოსვლის შემდეგ. ამ პროცესში საკმარისად აქტიურად არ მონაწილეობენ არც ეროვნულ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

ყირილობაზე გამოვიდნენ ქართული კინოკრიტიკის ახალგაზრდა წარმომადგენლები, რომლებსაც სამყაროს საკუთარი ხედვა ახასიათებთ. მათ მიერ წამოყენებული ფილმები რიგი დებატებანი შეიძლება მივიღოთ ან უარვყოთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: კრიტიკამ მჭიდრო კონტაქტი უნდა დამყაროს რეჟისორებთან, ოპერატორებთან, და ეს კონტაქტი ხელს შეუწყობს როგორც კარგი, ისე ეფექტური ფილმების ობიექტურ შეფასებას.

ყირილობაზე გამოსვლისას ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბოლო წლების მანძილზე ქართულ კინოში ჭარბობს ფილმები, რომლებიც ასახავენ თანამედროვის ცხოვრებას, მის შრომას, ოცნებებსა და მისწრაფებებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ თემაზე შექმნილი ფილმები ყველაზე მეტად მიმზიდველი გახდა მაყურებელთა აუდიტორიისათვის. ყოველივეს აქტუალურმა თემამ — „ადამიანი და საზოგადოება“ — ახლა ახალი განზომილებანი შეიძინა. ეკრანზე ადამიანის სახე ნამდვილად მრავალგანზომილებიანი ხდება, როცა მის ბიოგრაფიაში საზოგადოების ბიოგრაფია შედის. ყირილობაზე ეს მდგომარეობა ილუსტრირებულ იყო მთელი რიგი თანამედროვე ფილმების, აგრეთვე ისეთი დიდი ინტერნაციონალური, პატრიოტული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე კინოსურათების ანალიზის საშუალებით, როგორიც არის „არსენა“ და „გიორგი საკაძე“, რომლებიც დღეს უკვე კლასიკად იქცა. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ფილმმა „გიორგი საკაძემ“ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მეომრების პატრიოტულ აღზრდაში. სწორედ ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულების ფილმები სჭირდება თანამედროვესაც, რომელიც დაჯერებს ეკრანზე დადებითი გმირის ქცევას, მოუნდება მიბაძოს მას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის, მოზარდი თაობისათვის.

უაღრესად დიდია ისტორიული ფილმების ზემოქმედება. როცა წარსულს მიმართავს, კინო ამდიდრებს თანამედროვის ცოდნას, ამკვიდრებს ხალხის ცხოვრების ტრადიციათა მემკვიდრეობითობას. ბოლო წლებში, აღინიშნა ყირილობაზე, სტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნა მთელი რიგი კინოფილმები საისტორიო მასალების საფუძველზე. მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ შეესაბამება დიდ მოთხოვნებს, რომელსაც ამ ჟანრს ვუყენებთ: მათ აბსოლუტს მოფიმბედველობის შეზღუდულობა, არ ასახავენ ხალხს მასების როლს ისტორიაში, ფრაგმენტულად წარმოაჩენენ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს.

ყირილობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა ახალგაზრდობის იდეური და ზნეობრივი ჩამოყალიბების საკითხები. კინოხელოვნებამ უნდა აღზარდოს ქალიშვილები და ჭაბუკები აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე მოქალაქეებად, ნამდვილ პატრიოტებად და ინტერნაციონალისტებად, რომლებისთვისაც უცხო იქნება საბჭოთა ცხოვრების წესისათვის მიუღებელი გამოვლინებანი. აღინიშნა, რომ ხშირად რესპუბლიკის ეკრანებზე გამოდის ფილმები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს ეძღვნება ახალგაზრდობის, მისი ზნეობრივი ჩამოყალიბების პრობლემებს, სინამდვილეში კი იდეური და მხატვრული თვალსაზრისით არაფერს არ ეუბნებიან ახალგაზრდა მაყურებელს.

ამავე დროს დაასახელეს კინოფილმები, რომლებიც ახალგაზრდებს ჩაფიქრებენ ყოფიერების პრობლემებზე, ეხმარებიან სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ახალგაზრდობა — ჩვენი ხვალინდელი ცვლის აღზრდა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. კინემატოგრაფს უფლება არა აქვს განზე გაუდგეს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. მას შეუძლია და პირდაპირ, და არა ქარაგმულად უნდა უპასუხოს კითხვებს, რომლებიც აღელვებს ახალგაზრდობას. კინოს ენით სოციალური შეფასება მისცეს ისეთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, როგორიც არის ლოთობა, ნარკომანია, უიდეო დასავლური კინოპროდუქციით გატაცება.

ახალგაზრდა ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს, და კინოს ძალა შესწევს გავლენა მოახდინოს მისი გემოვნების, საზოგადოებაში ქცევის, ესთეტიკური მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე. უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდობას იაზროვნოს მოქალაქეობრიობის მაღალი კატეგორიებით, გრძნობდეს თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების, დროის წინაშე.

განვლილი ხუთწლეულის განმავლობაში კინოსტუდია „ქართულ ფილმმა“ ფართოდ გაუღო კარი ახალგაზრდა შემოქმედთ. ახალგაზრდა რეჟისორების ფილმებს საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზები მიენიჭა. ყირილობაზე აღინიშნა, რომ კინემატოგრაფისტთა კავშირში ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ახალგაზრდული სექცია, რომელიც 120 კაცს აერთიანებს. სექციის მუშაობა ითვალისწინებს ახალგაზრდების ფილმების ჩვენებასა და განხილვას, რესპუბლიკურ და სრულიად საკავშირო ფესტივალებში მონაწილეობას, საბჭოთა კინოს ოსტატებთან, ქალაქებისა და ფაბრიკების მშრომელებთან, კოლმეურნეებთან შეხვედრებსა და მრავალ სხვას. სხვადასხვა ღონისძიება ხელს უწყობს მათ შემოქმედებით, პროფესიულ ზრდას, იდეურ და ზნეობრივ წრთობას, ინტერნაციონალურ აღზრდას.

კინოს ახალგაზრდა მოღვაწეთა ოსტატობის სრულყოფის შესანიშნავი სკოლაა ექსპერიმენტული შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტი“, რომელიც მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“. მისი არსებობის მანძილზე გაერთიანებაში შეიქმნა 24 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. ახლახან რესპუბლიკის სახკინომ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექციამ შექმნეს ახალი გაერთიანება — „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის“ გაერთიანება. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს შემოქმედებითი ცვლის მომზადებისათვის ყოველდღიური ზრუნვას.

მრავალი წლის განმავლობაში ქართული სტუდიები კინორეჟისორებისა და სხვა კინემატოგრაფიულ სპეციალობათა კადრებს საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით ავსებდნენ. მაგრამ აი უკვე თითქმის ათი წელია, რაც სქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა კინორეჟისურის ფაკულტეტი, და ქართულ კინოში ძირითადად მოდის ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცვლა. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ მოვლენის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, თქვეს ორატორებმა, — ასეთი ფაკულტეტი ხომ მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მან 70 კინორეჟისორი მოამზადა.

ამასთან ყირილობაზე ისიც ითქვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა კინორეჟისორთა კადრების „გადამეტწარმოება“, რაც გამოიწვია წლების განმავლობაში დაგემილი მისაღები კონტინგენტის გადიდებამ. ამავე დროს, ქართული კინო კვლავ განიცდის სცენარისტების, ოპერატორებისა და სხვა სპეციალობათა მუშაკების ნაკლებობას. ამიტომ დადგა აზრი, რომ საჭირო კინოკადრების მომზადების კომპლექსური სისტემა შეიქმნას თეატრალურ ინსტიტუტში, იქნებ იმ გზით, რომ შემცირდეს კინორეჟისორთა კონტინგენტი, ამ სპეციალობაზე ჩაირიცხონ განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდები.

ყირილობაზე დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა დოკუმენტური კინოს განვითარების გზებზე, რომელიც მოწოდებულია ფილმებში აღბეჭდოს ჩვენი დღევანდელობის გმირული პერიოდი შთაშთამავლებისათვის. აღინიშნა, რომ ინტერესი დოკუმენტური კინოპუბლიცისტიკისადმი წლითიწლობით იზრდება. ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა შექმნეს შესანიშნავი ფილმები, რომლებმაც გააცოცხლეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები. ამავე დროს ეკრანზე ჯერ კიდევ ხშირად გამოდის ფილმები, რომლებშიც კინოპუბლიცისტიკა მოკლებულია ხატოვნებას, გასაგებობასა და დამაჯერებლობას, ინფორმაციის მოწოდება სტანდარტიზებულია. დოკუმენტური კინოს უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს, და არა მარტო იმიტომ, რომ შეუძლია ფირზე აღბეჭდოს დროის სახეები, თანამედროვეობის გამოჩენილი ადამიანები, ამაღელვებელი ისტორიული მოვლენები. მას უდიდესი პროპაგანდისტული, აღმზრდელობითი, ემოციური მნიშვნელობა აქვს.

ახალგაზრდა კაცის გული არ შეიძლება სიამაყით არ აღივსოს, როცა დოკუმენტური კინოს ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე შექმნილ ფილმს ხაპესის მშენებლობის შესახებ შეუდარებს ერთერთ თანამედროვე ლენტს — „ენგურის ეპოპეას“. იგი ხედავს ენთუზიასტებს, რომლებიც ოფლით რწყავდნენ მიწას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რათა სინამდვილედ ქცეულიყო ლენინური გოელროს გეგმა, ახლადდელი მშენებლობის გრანდიოზული გაქანება, მისი უდიდესი ტექნიკური შესაძლებლობანი, დღევანდელი მუშის სახე.

ასეთი საოცარი ცვლილებები მოხდა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში. კინოდოკუმენტალისტებმა მომავალ თაობებს უნდა შემოუნახონ ჩვენი სახელოვანი თანამედროვეების სახეები, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და შრომობენ. დროთა განმავლობაში ეს კადრები გამდიდრებენ ჩვენს ისტორიას.

სინანულით აღინიშნა, რომ დოკუმენტურმა ფილმმა ვერ შემოგვინახა შთამბეჭდავი კინომასალა ივანე ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანისა და საქართველოს სხვა გამოჩენილი შვილების შესახებ. ასეთი მასალა კი, უეჭველია, დაამშვენებდა ჩვენს კინომატიანეს.

ყირილობის მონაწილეებმა თქვეს, რომ გაიზარდა მეცნიერულ-პოპულარული კინოს როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში. ბევრს, აღინიშნეს მათ, ეს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ეკრანზე ასახავს მანქანისა და ადამიანის ურთიერთობას. ფართო მნიშვნელობით კი ეს სიტყვა ნიშნავს ვუჩვენოთ ადამიანის ფაქტორის როლის გაღიდება საზოგადოების მეცნიერულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით მწვავედ დაისვა საკითხი მეცნიერებათან კინემატოგრაფისტების კონტაქტების გაძლიერებაგაღრმავების, კინოს მოღვაწეთა მიერ მეცნიერული პრობლემების ფუნდამენტური შესწავლის შესახებ. უამისოდ, ითქვა ყირილობაზე, არავითარი პოპულარიზაცია და პროპაგანდა არ გამოვა.

ყირილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო სატელევიზიო ფილმებს. სატელევიზიო ფილმების სტუდია, აღინიშნა ყირილობაზე, ქმნის მხატვრულ, დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ, მუსიკალურ კინოპროდუქციას, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ქვეყანაშიც. ბოლო ხუთი წლის მანძილზე გადაღებული ფილმებში ფართოდ აისახა ხალხის სულიერი ცხოვრების, მისი ისტორიული წარსულის, რესპუბლიკის აწმყოს არაერთი საყურადღებო პრობლემა.

მაგრამ სტუდიაში ჯერ კიდევ არ იქმნება ნამდვილად მასშტაბური ფილმები, რომლებიც მიიპყრობდნენ საზოგადოებრიობის ყურადღებას, არ გამოდის ნაკლოვანებათა მამხილებელი ფილმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათს აღმოფხვრას. ტელევიზიას შესწევს უნარი და მოწოდებულია აქტიურად ეროვლეს ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებში, აძლევდეს მას პრინციპულ სოციალურ შეფასებას.

ქართული მულტიპლიკაციური კინო ერთ-ერთი უძველესია ქვეყანაში. წელს იგი თავის 50 წლისთავს აღნიშნავს. გაერთიანების პროდუქციის ახასიათებს ძიება, იგი მოწმობს ამ შემოქმედებითს კოლექტივში მომხდარ თვისებრივ ძვრებს. აქ თანაბარი გატაცებით მუშაობენ ყველა თაობის წარმომადგენლები. წელს პირველად გაიხსნა თბილისის სამხატვრო აკადემიასთან განყოფილება, რომელიც მხატვარ-მულტიპლიკატორებს გამოუშვებს. მაგრამ, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, საჭიროა, რომ ჩვენს მულტიპლიკაციაში უფრო აქტიურად მუშავდებოდეს თანამედროვეობის თემა.

თანამედროვე კინემატოგრაფი უდიდესი მრავალდარგოვანი მეურნეობაა. და ქართული კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე. დღეკანდელი კინოინდუსტრია კინოინჟინერთა კვალიფიციურ კადრებს მოითხოვს. ამასწინათ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მწყობრში ჩადგა ახალი ლაბორატორია. იგი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, აღჭურვილია ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით. მაგრამ მისი ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა ამთავითვე ვიფიქროთ შესაბამისი კვალიფიციური კადრებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ მართონ რთული ტექნიკა, შემოვიკრიბოთ პასუხისმგებელი და საქმის გულშემატკივარი ადამიანები და ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ მოვაკლოთ მათ მზრუნველობა.

ყირილობაზე გაისმა მადლიერების სიტყვები სტუდიის იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც მრავალი წელი საკუთარი მხრებით ეზიდებოდნენ ტექნიკური სამსახურის ყველა სირთულის სიმძიმეს. მაგრამ ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, კინოს მაღალკვალიფიციური კადრები სჭირდება. მეთოდოლოგიურ ხუთწლედში დაიწყება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე რიგის მშენებლობა. უკვე ახლა დროა ვიფიქროთ იმაზე, თქვეს ორატორებმა, თუ რამდენი და რა პროფილის სპეციალისტი იქნება საჭირო ამ კომპლექსის უზრუნველსაყოფად.

ყირილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების მუშაკები. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების კინოთეატრების აფიშები ამრელებულია საზღვარგარეთული ფილმების, ხშირად დაბალი იდეური და მხატვრული დონის ფილმების სახელწოდებებით. და ამავე დროს ეკრანს ვერ პოულობს ქართული სტუდიების პროდუქცია. ეს იმით აიხსნება, აღინიშნა ორატორებმა, რომ გაქირავების სისტემაში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული ეროვნული კინემატოგრაფიის მიღწევათა პროპაგანდით.

საინტერესო მაგალითი მოიყვანა საქართველოს სახალხო არტისტმა ე. შეხვედიანმ. შარშან რეჟისორი უნდა შეხვედროდა თავის ამორჩეველს ბახთიანდში, ვიხაიდან ფილმი „ციისფერი მთები“ ეკრანზე 1984 წელს გამოვიდა, მან გადაწყვიტა მაყურებლისათვის ეჩვენებინა რაიმე სხვა ახალი ფილმი. მაგრამ დიდად გაოცებული დარჩა, როცა აღმოჩნდა, რომ გაგრის ზონაში მისი ნამუშევარი საერთოდ არ ყოფილა დემონსტრირებული. წლების მანძილზე არ ეჩვენებიათ ქართული ფილმები რესპუბლიკის მრავალ რეგიონში.

ყირილობაზე ითქვა, რომ ქართული ფილმების რეკლამა, მათი დემონსტრაციის დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს კი რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო რეაქციას იწვევს.

ყირილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს მაყურებელთან კინოხელოვნების მოღვაწეთა კავშირურთიერთობა. თვალსაჩინო რეჟისორები, მსახიობები, კინოს მხატვრები, უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ რესპუბლიკის მშრომელებს, იმათ, ვისთვისაც იქმნება მათი პროდუქცია. არ არის ხელოვნების არც ერთი დარგი, ისეთი პოპულარობით რომ სარგებლობდეს, როგორითაც კინემატოგრაფია სარგებლობს. და ეს პოპულარობა უნდა გამოვიყენოთ როგორც ახალი საზოგადოების მშენებლობა ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალება.

პარტიის XXVII ყრილობამ, — ხაზგასმით აღინიშნეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა ყრილობის მონაწილეებმა, — გაგვამდიდრა პეშმარიტად ფასდაუდებელი და ხანგრძლივი მნიშვნელობის მქონე იდეებითა და გამოცდილებით. მათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას აღუთქვეს, რომ ძალონეს არ დაიშურებენ, რათა კიდევ უფრო გაზარდონ კინოს როლი პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაში, ღირსეულად ასახავენ ეკანზე გმირულ დროს, რომელშიც ვცხოვრობთ.

(საქინფორმი).

ბაკალავრული შემაჯამებლის შინაარსისათვის

14 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა მთავრობის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო ბირთვული აფეთქება. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. პეტროსიანცი.

პრესკონფერენციის გახსნისას გაკეთებულ განცხადებაში ითქვა: საბჭოთა ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ახლა არა არის რა იმაზე უფრო დიდნმშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ის, რომ შევაჩეროთ ომის საშიშროების ზრდა, ვიხსნათ კაცობრიობა ბირთვული საფრთხისაგან.

საღი აზრი და ავტორიტეტიან სპეციალისტთა დასკვნები ცხადყოფს, რომ ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის პროცესს დასაბამი ყველაზე ეფექტიანად და ამავე დროს ყველაზე ადვილად შეიძლება ამ იარაღის გამოცდების სრული აკრძალვის გზით მიეცეს. ბირთვული სისტემები, რომლებთაც უკვე აღჭურვილი არიან შეიარაღებული ძალები, აღარ დაიხვეწებოდა, ხოლო ახლების შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ხელმძღვანელობს მისწრაფებით, რომ არავინ კარგი მაგალითი და საჭირო იმპულსი მისცეს ბირთვული განიარაღების საქმეს, შარშან აგვისტოში გადადგა გაბედული ნაბიჯი — შეშოღიო ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი. ამისათვის მას მოუხდა შეეწყვიტა შესაბამისი პროგრამის შესრულება, რაც გარკვეულ სამხედრო და ეკონომიკურ დანაკარგებად დაუჯდა.

თავდაპირველად 1985 წლის დამლევამდე გამოცხადებული ჩვენი მორატორიუმის ვადა ორჯერ გაგრძელდა. საბჭოთა კავშირი ყოველთვის პატიოსნად იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ცალმხრივი მორატორიუმი არ შეიძლება იყოს დაუსრულებელი, რომ არის მიჯნა, რომელსაც სსრ კავშირი ვერ გადააბიჯებს. ამ მიჯნას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის უშიშროება, ჩვენი მოკავშირეების უშიშროების ინტერესები.

სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ ვერ გაუძღო პასუხისმგებლობის გამოცდას და 10 აპრილს ნევადაში ააფეთქა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეჩერების უნიკალური შანსი. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი საბჭოთა მთავრობის 11 აპრილის განცხადება, რომ ამიერიდან იგი თავისუფალია მის მიერ ცალმხრივი წესით ნაკისრი ვალდებულებისაგან — თავი შეიკავოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მოწყობისაგან.

ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ მომენტში მზად არის კვლავ შემოიღოს ყველა ბირთვული გამოცდის მორატორიუმი, თუ ამერიკის შეერთებული შტატებიც გამოიჩენს მზადყოფნას შემოიღოს ასეთი მორატორიუმი. აქ ჯერი კვლავ ვაშინგტონზეა.

ბოლო ოც წელიწადში კოლექტივმა შეიძუშავა და დანერგა მკურნალობის 40 ახალი მეთოდი, მიღებულია 70-ზე მეტი საავტორო მოწმობა, რაციონალიზატორული წინადადება.

ცენტრის მუშაობა აღინიშნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საპატიო დიპლომით, პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობის ოქროს მედლით...

ამ მრავალფეროვანი ბიოგრაფიის უამრავ ციფრებსა და ფაქტებს მიღმა ათასობით განკურნებული ადამიანი, გადარჩენილი სიცოცხლე. სოციალური პრობლემების გადაჭრაში ცენტრის წვლილი მილიონობით მანეთად არის შეფასებული. ასეთია კოლექტივის სამკურნალო, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ეკონომიკური ეფექტი.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ცენტრის შრომითი ბიოგრაფია

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის შედეგები და პერსპექტივები შეჯამა თბილისში გამართულმა საიუბილეო სესიამ. იგი მიეძღვნა ქვეყნის ამ პროფილის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულების 40 წლისთავს.

ცენტრის ბიოგრაფია დაიწყო პირველ ოცმისშემდგომ წელს 300 საჰოსპიტალო საწოლით. მაშინდელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართული ორთოპედიის ფუძემდებელი მ. ცხაკაია, იდგა სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა. აქ მწყობრში აბრუნებდნენ ომში დასახიჩრებულ ადამიანებს. პირველსავე წელს ინსტიტუტში გაიმართა კვლევა ყველაზე აქტიური პრობლემებზე. კერძოდ, დაიწყო პოლიომიელიტის, თანდაყოლილი თეძოს ამოვარდნილობის შესწავლა.

წლების მანძილზე ცენტრი დიდი სამეცნიერო-კვლევითი პოლიგონია. აქ ამუშავებენ და ნერგავენ ადამიანის დაავადებათა მკურნალობის ახალ, უფრო სრულყოფილ მეთოდებს. ფართოდ გავრცელდა უსისხლო დისტრაქციულ-კომპრესიული მეთოდი, რომელიც ეფექტიანია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ზოგიერთი მძიმე დაზიანებისა და დაავადების მკურნალობისას. მედიცინაში ამ პრინციპულად ახალი მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელია ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ო. ღუდუშაური. მას ამ ნამუშევრისათვის ლენინური პრემია მიენიჭა.

ცენტრში მიმდინარეობს მასშტაბური მეთოდიკური მუშაობა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დარგში. მისი თანამშრომლები სწავლობენ საქართველოში ორთოპედიულ დაავადებათა სიხშირესა და გავრცელებას, ამუშავებენ ტრავმატიზმის პროფილაქტიკის ღონისძიებებს. აქ რეგულარულად ეწყობა სემინარები პედიატრებისათვის, ბავშვთა ქირურგებისათვის, გინეკოლოგებისათვის, ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის საკითხებზე რესპუბლიკის სპეციალისტებისათვის. ამ თემის მიხედვით ცენტრი გეგმავს და კოორდინაციას უწევს მთელ სამეცნიერო მუშაობას საქართველოში.

ბოლო ოც წელიწადში კოლექტივმა შეიძუშავა და დანერგა მკურნალობის 40 ახალი მეთოდი, მიღებულია 70-ზე მეტი საავტორო მოწმობა, რაციონალიზატორული წინადადება.

ცენტრის მუშაობა აღინიშნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საპატიო დიპლომით, პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობის ოქროს მედლით...

ამ მრავალფეროვანი ბიოგრაფიის უამრავ ციფრებსა და ფაქტებს მიღმა ათასობით განკურნებული ადამიანი, გადარჩენილი სიცოცხლე. სოციალური პრობლემების გადაჭრაში ცენტრის წვლილი მილიონობით მანეთად არის შეფასებული. ასეთია კოლექტივის სამკურნალო, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ეკონომიკური ეფექტი.

(საქინფორმი).

ქუთაისის სცენაზეა საბავშვო ზღაპარი

ბაბახარა ქალაქის ნორჩი მცხოვრებლები ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა. თავისი მორიგი პრემიერა მან მიუძღვნა ბავშვებს, დადგა ვ. იაკაშვილის ზღაპარი „იადონის თავგადასავალი“.

მხიარული წარმოდგენა, რომელიც აღსავსეა მუსიკით, სინათლით, ცეკვებით, მოგვითხრობს სიკეთის გამარჯვებაზე, თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულზე.

ახალი სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მურმან ფურცხვანიძემ, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ნიკოლოზ ედგარიძემ, მხატვარია დავით კოკელაძე, ქორეოგრაფი — კარლო გერგია. იადონის მთავარი როლი შეასრულა მსახიობმა გორა ნიკოლაძემ. მაყურებელმა იხილა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ნაცვლიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. სვანაძე, ვ. გვენცაძე და სხვები.

სურათზე: სცენა „იადონის თავგადასავლისა“, რომელიც დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე.

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საგაზაფხულო გაწვევა: დიდი ამოცანები, პასუხსაგები პრობლემები

დადგა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის საგაზაფხულო გაწვევის დრო. იმაზე, თუ როგორ მოეწყობა იგი, ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაწყდეს საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, საქინფორმის კორესპონდენტი ვ. გრიგოლავინი ესაუბრება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს, გენერალ-მაიორ ლ. ლ. შარაშენიძეს.

— 1986 წლის სამხედრო გაწვევა დაიწყება აპრილის შუა რიცხვებში და ივლისის შუა რიცხვებამდე გასტანს, — თქვა ლ. ლ. შარაშენიძემ. — სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგება 18 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე, რომლებსაც არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, რომლებმაც დაამთავრეს მორიგი სასწავლო წელი.

თავიდანვე გეტყვით, თუ რით განსხვავდება ახლანდელი გაწვევა წინანდელისაგან. ჯერ ერთი, ამიერიდან უმაღლეს სასწავლებლები ყველა ფორმის სწავლების სტუდენტებს გაიწვევენ მხოლოდ ერთხელ წელიწადში — გაზაფხულზე, საგამოცდო სესიის დამთავრების შემდეგ. ამგვარად ახალგაზრდები, რომლებსაც 18 წელი ივლის-დეკემბერში შეუსრულდებათ, შეძლებენ მორიგი კურსის დამთავრებას და მათ არმიაში მომდევნო გაზაფხულზე გაიწვევენ. მეორეც, კანდიდატებს საზღვარგარეთ სამსახურის გასავლელად განსაზღვრავს მხოლოდ რესპუბლიკური გასაწვევი კომისია, ხოლო საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისარიატები განთავისუფლებული იქნებიან ამ მოვალეობისაგან.

გაწვევა მოეწყობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელზეც ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, თითოეულისათვის იმ მზადყოფნის ჩანერგვა, რომ დაიცვას სოციალისტური სამშობლო, მოახმაროს ამას მთელი ძალები და, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლეც.

რა თქმა უნდა, არმიაში გაწვეული ყველა ახალგაზრდა იმთავითვე როდი ხდება დისციპლინიანი და გამოწრთობილი, ყველა როდია მზად სამხედრო სამსახურის სიძნელეების გადასალახავად. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესი მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რაც უფრო უკეთ არიან მომზადებული ახალგაზრდები თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. ამიტომ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და დოსაააფის ცენტრალურ კომიტეტთან, მთელ რიგ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ვეწეოდით და ვეწევით დიდ მუშაობას ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, მორალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური მომზადების, მასთან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ეს, უდავოდ, დაეხმარება ჭაბუკებს უფრო სწრაფად მოეკრნენ მეომართა კოლექტივების ცხოვრების რიტმში, ითთვისონ სპეციალობა, გახდნენ უნარიანი მეომ

მსოფლიოში

ფაქტები • მოვლენები

● აშშ-იაპონია

ვარაუდი არ გამართლდა

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა კვირას თავის ქალაქგარეთა კემპ-დევიდის რეზიდენციაში გამართა მოლაპარაკების პირველი რაუნდი იაპონიის პრემიერ-მინისტრ ნაკასონესთან, რომელიც აქ სამუშაო ვიზიტად იმყოფება.

სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლის ცნობით, მოლაპარაკებაზე „მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობას, შეიარაღებისადმი კონტროლისა და შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს“. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა „მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რეიგანის პოზიციას“ ამ საკითხებში.

ამასთან მოლაპარაკებას ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ საკითხზე აშკარად არ მოჰყოლია ის შედეგები, რომლებსაც ვაშინგტონი ვარაუდობდა. იაპონელ პრემიერზე ზემოქმედების მიუხედავად, ნაკასონემ უარი თქვა რაიმე ოფიციალური ვალდებულება ეკისრა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელებაში იაპონიის მონაწილეობის თაობაზე. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღიარა, ნაკასონემ მხოლოდ განაცხადა, იაპონია „ფრთხილად განაგრძობს აღნიშნული საკითხის შესწავლასო“.

მოვლენათა ასეთი განვითარება სულაც არ შეესაბამება ვაშინგტონის ადმინისტრაციის განზრახვებსა და ვარაუდს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლის გამონთქვამებით თუ ვიმსჯელებთ, მოლაპარაკების პირველი რაუნდი აღინიშნა მწვავე კამათით შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხში. ამერიკის მხარე ტოკიოსაგან მოითხოვდა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მთლიანად გაუხსნიდნენ იაპონიის ბაზრებს ამერიკულ საქონელს. წარმომადგენლის გამონთქვამები მოწმობს, რომ საქმე ეხებოდა იაპონიის ეკონომიკის ორიენტაციის ძირეულ შეცვლას — დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტიდან იმპორტზე გადასვლას, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლოს მისი საგარეო ვაჭრობის სფეროში შექმნილი ნამდვილად კატასტროფული სიტუაციის რამდენადმე შენელება.

● საფრანგეთი

მთავრობის პროგრამის კრიტიკა

პარიზი. საფრანგეთის მემარჯვენე უმრავლესობის ახალი მთავრობის პროგრამა არსებითად რეაქციული, ავტორიტარული და კონსერვატიული ძალების მოქმედების გეგმაა, განაცხადა რადიოსადგურ „ფრანს-ენტერის“ პროგრამით გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა, გაზეთ „ლუმანიტეს“ პოლიტიკურმა დირექტორმა როლან ლერუამ.

მთავრობის მიერ გამოცხადებული სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს, თქვა მან, კერძოდ, დაგმო ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მიდგომა უმუშევრობისა და დამნაშავეობის პრობლემების გადაწყვეტისადმი. დასახული დენაციონალიზაცია შეამცირებს წარმოებას, გაზრდის უმუშევრობას. ეგრეთ წოდებული „ეკონომიკის გაჯანსაღების“ გამოცხადებული კურსი ფაქტობრივად მოსწყვეტს ყბადაღებული „მკაცრი ეკონომიის“ განგრძობას, ახალ ცდას ახლანდელი კრიზისის მთელი სიძნელენი მშრომელებს დააკისრონ.

შექმნილ პირობებში აუცილებელია ყველა კომუნისტისა და მშრომელის მჭიდრო შეკავშირება, ძალისხმევის მობილიზება მსხვილი კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, მშრომელი საფრანგეთის ძირითადი უფლებებისა და სოციალურ მონაპოვართა დასაცავად, აღნიშნა რ. ლერუამ.

● ნიკარაგუა

პრეზიდენტი ადასტურებს

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ დაადასტურა, რომ სანდინისტური მთავრობა მზად არის ხელი მოაწეროს კონტადორული ჯგუფის მიერ წამოყენებულ „მშვიდობის აქტს“, თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეწყვეტს აგრესიას ნიკარაგუის რევოლუციის წინააღმდეგ.

ჩონტალესის დეპარტამენტის გლეხთა წინაშე გამოსვლისას, მან განაცხადა, რომ ნიკარაგუა მზად არის განაახლოს მოლაპარაკება „მშვიდობის აქტის“ გადაუჭრელ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სამხედრო ბაზებს, მანევრებსა და უცხოელ სამხედრო მრჩევლებს. ჩვენი აზრით, თქვა პრეზიდენტმა, საჭიროა მთლიანად გამოვრიცხოთ უცხოეთის სამხედრო ყოფნა ცენტრალურ ამერიკაში. სანამ გრძელდება შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება, ჩვენს მთავრობას სრული უფლება აქვს შეაიარაღოს ნიკარაგუელი ხალხი, განაგრძოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, განაცხადა დანიელ ორტეგამ.

● ფლორენცია

ყრილობა დამთავრდა

ფლორენცია. იტალიის კომპარტიის ყრილობის მუშაობის ბოლო დღეს გაიმართა მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია ალესანდრო ნატა. ფორუმზე საბოლოო სიტყვით გამოსვლისას, მან გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკა.

დელეგატების მიერ საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია თუ რა განსაკუთრებით საშიში ხასიათი აქვს ვაშინგტონის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას და შეიცავს მოწოდებას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი გაილაშქრონ მის წინააღმდეგ.

● პაკისტანი

თავდასხმის ცდა

ლონდონი. ლაჰორში შეეცადნენ თავს დასხმოდნენ პაკისტანის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ბენაზირ ბჰუტოს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა საშობლოში ემიგრაციიდან. როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, რამდენიმე შეიარაღებული პირი შევარდა ბჰუტოს სახლში, მაგრამ დაცვის წინააღმდეგობის რომ წაწყდნენ, გაიქცნენ. ერთერთი თავდამსხმელი, ვინმე აბდულ კაიუმი, შეიპყრეს.

პაკისტანის პოლიციამ უარი თქვა განემარტა ინციდენტი.

მრუდე სარკეში

ანუ როგორ დაალალატა მოწაფემ ბერნარდ სემოტოკი

კანადელი ისტორიკოსი ბერნარდ სემოტოკი უკმაყოფილოა საბჭოთა გაზეთებით. მისი აზრით, ისინი არაობიექტური არიან საერთაშორისო მოვლენების გაშუქებისას, მუქი ფერებით წარმოადგენენ მათ და ა. შ.

დასავლეთში კი, მისი აზრით, გაზეთები მკითხველებს აწვდიან მხოლოდ „წმინდა“ ფაქტებს საბჭოეთის ცხოვრებიდან და მკითხველებს უფლება ენიჭებათ თავად გამოიტანონ დასკვნები.

— ხომ არ შეგხვედრიათ გამონათქვამები საბჭოთა კავშირზე, როგორც „ბოროტების იმპერიაზე“? როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნერგავენ „თავისუფალი სამყაროს მოქალაქეებს „სისხლისმსმელი საბჭოეთის სახეს?

— ასეთი რამ არ ხდება, — ამტკიცებს სემოტოკი.

როგორც ადამიანს, სემოტოკს უფლება აქვს ხედავდეს იმას, რის დანახვაც თავად სურს, მაგრამ სამწუხაროა, რომ იგი უბრალოდ ისტორიკოსი კი არა, ისტორიის მასწავლებელია და ქალაქ ვინიპეგის შაფტსბერის უმაღლეს სკოლაში ასწავლის კურსს სსრ კავშირის ცხოვრების შესახებ. მან ოკეანე გადმოკვეთა თავის მოწაფეებთან ერთად, რათა თვალსაჩინო გაკვეთილი მიეცა მათთვის.

ბერნარდ სემოტოკი ამაყობს იმით, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს სკოლაში გადიან კურსს საბჭოთა კავშირის შესახებ. „თქვენს ქვეყანაში ხომ არ ასწავლიან კურსს კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ“, ამბობს იგი, რადგან ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს საბჭოთა სკოლების პროგრამებზე. სემოტოკი ამტკიცებს, ჩემს მოწაფეებს საბჭოთა კავშირის შესახებ უაღრესად ობიექტურ ინფორმაციას ვაწვდიო“. მხოლოდ ფაქტები, — ამბობს იგი. — მოსწავლეებს თვითონ, ორი საზოგადოებრივი სისტემის შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოაქვთ დასკვნა, რა არის კარგი და რა — ცუდი“.

თავისი მეთოდის საილუსტრაციოდ სემოტოკმა ჩვენთან საუბარში ჩააბა მისი თქმით საუკეთესო მოწაფე — ჩვიდმეტი წლის ჯეისონ პემბერი. მაგრამ ვაი, რომ მოწაფემ დაალალატა მასწავლებელი და ფაქტებთან მუშაობის მისეული მეთოდი.

„ჩვენ გვეუბნებოდნენ, საბჭოთა კავშირში ყოველ კუთხეში ავტომატიანი ადამიანები დგანანო, — აღიარა ჯეისონმა— მაგრამ ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ ეს ასე არ არის. აქ ძალიან კეთილმოსურნე ხალხია. მოსკოვი და თბილისი ძალიან მომეწონა. შესაძლოა, მე და ჩემს საბჭოთა თანატოლებს სხვადასხვა ღირებულებანი გვაქვს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია აქ. საქართველოს მეგობრობის საზოგადოებაში, კარგად გაგვეგო ერთმანეთისათვის“.

სემოტოკის „ობიექტურობა“ საპნის ბუშტივით გასკდა. მოწაფემ გაკვეთილი მისცა მასწავლებელს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ორი ობიექტურობა არ არსებობს. ერთ-ერთი მთგანი აუცილებლად ტენდენციურობაა.

გამოირკვა, რომ ჯეისონი ცუდად იცნობს ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას და კულტურას. წარჩინებულმა მოწაფემ ვერც ერთი რუსი მწერალი ვერ დასახელა. ზოგიერთი რამ მან იცის, მაგრამ მხოლოდ ლიტერატურიდან, რომელიც შექმნეს საშობლოს მოღალატე გარეწრებმა.

როგორც აღმოჩნდა, სემოტოკის სწავლების „ობიექტურ“ პროგრამაში არ შედის ნაამბობი იმაზე, თუ რით ცხოვრობენ ჩვენი ქვეყანა და მისი ადამიანები, რა პრობლემებს წყვეტენ ისინი, რას აკეთებს სსრ კავშირი იმისათვის, რომ ყველა ბავშვს, მათ შორის ჯეისონის მომავალიც მშვიდობიანი იყოს. როგორც ჩანს, პროგრამაში ამისათვის ადგილი აღარ დარჩათ.

დარწმუნებული ვართ, რომ ვინიპეგელი უფროსკლასელები შეავსებენ თავიანთი ცოდნის დეფიციტს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს. მაგრამ რა ვუყოთ სხვა მათს დასავლელ თანატოლებს, ყველა ხომ ვერ შეძლებს ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში და, ვინ იცის, რამდენი ჰყავთ ისეთი მასწავლებელი, როგორიც ბერნარდ სემოტოკია?

მ. რონდელი,
საქინფორმის კორ.

ყრილობა დამთავრდა

ფლორენცია. იტალიის კომპარტიის ყრილობის მუშაობის ბოლო დღეს გაიმართა მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია ალესანდრო ნატა. ფორუმზე საბოლოო სიტყვით გამოსვლისას, მან გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკა.

დელეგატების მიერ საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია თუ რა განსაკუთრებით საშიში ხასიათი აქვს ვაშინგტონის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას და შეიცავს მოწოდებას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი გაილაშქრონ მის წინააღმდეგ.

ფეხბურთის ამბები

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სმოლენსკის „ინეი“-ტალინის „ერი“-ყაზანის „ალბასი“ — 2:0, იაროსლავლის „შინაკი“-ლატვიის „ალფა“ — 1:0, ბრესტის „ბალტიკა“-ბაკურიანი — 0:1, ტალინის „ლოკომოტივი“-ბაკურიანი — 2:0, ოქტემბერიანის „სპარტაკი“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 1:0, აშტარაკის „ოლიმპია“-ნახიჩევანის „არაზი“ — 0:1, კიროვაბადის „ქიაფაზი“-ბაკურიანი — „გიანჯლიკი“ — 2:0, მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-აშხაბადის „კოლხოზჩი“— 5:1.

პარიზში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების (16 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეთა წილისყრა. ეს შეჯიბრება გაიმართება საბერძნეთში 1-დან 10 მაისამდე. წილისყრით გუნდები ასე განაწილდნენ: **„ა“ ჯგუფი.** შოტლანდია, პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი; **„ბ“ ჯგუფი.** ბულგარეთი, შვეიცარია, ესპანეთი და ნორვეგია; **„გ“ ჯგუფი.** დანია, ჩეხოსლოვაკია, გდრ და ავსტრია; **„დ“ ჯგუფი** — საფრანგეთი, რუმინეთი, ჰოლანდია და სსრ კავშირი. შეგახსენებთ, შარშანდელ ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

საფურნირო ორბიტა

ჯოკეი. გთავაზობთ მოსკოვში დაწყებული ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პირველი ორი დღის კალენდარული მატჩების შედეგებს: აშშ-ფინეთი — 4:5, კანადა-გფრ — 8:3, სსრ კავშირი-შვეიცარია — 4:2, ჩეხოსლოვაკია-პოლონეთი — 1:2; შვეიცარია-კანადა — 4:1, პოლონეთი-აშშ— 2:7, ფინეთი-სსრ კავშირი — 1:4, გფრ-ჩეხოსლოვაკია — 4:3. ორი ტურის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს 4 ქულა აქვს და ერთპიროვნულად ლიდერობს.

ხელბურთი. ზაპოროჟიეში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: მინსკის ასკ-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი—28:24, ჩელიაბინსკის „პოლიოტი“-მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 27:21, ცსკა-ლენინგრადის „ნევა“ — 25:24, **ასტრახანის „ზარია“-„ქარიშხალა“ (სპი) — 21:21,** ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი-მოსკოვის „კუნცევო“ 25:19, კაუნასის „გრანიტასი“-კიევის ასკ — 32:24; „გრანიტასი“-„ნევა“ — 31:24, **კიევის ასკ-„ქარიშხალა“ — 21:19,** ფიზკულტურის ინსტიტუტი-„ზარია“ —27:20, მინსკის ასკ-კუნცევო“ — 31:21, „პოლიოტი“-ინდუსტრიული ინსტიტუტი—28:21, საავიაციო ინსტიტუტი-ცსკა — 18:16. მეორე წრის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ასპარეზობის ლიდერს — მინსკის არმიელთა გუნდს 34 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ცსკა 31 ქულა, მესამეზე—„გრანიტასი“ — 28. თბილისელები 17 ქულით მეშვიდე ადგილზე არიან.

ჭადრაკი. კიევში გრძელდება ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მეშვიდე ტურში ბელიავსკიმ დაამარცხა სმაგინი, ცეშკოვსკიმ — ბარეევი, ლუტუტიანმა — აზმაიფარაშვილი. ბალაშოვი დაუზავდა მალანიუკს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. მერვე ტურში ბარეევმა მოუგო ეინგორნს, მალანიუკმა — ლუტუტიანს. ბალაშოვ-ცეშკოვსკის, იაკოვიჩ-ლერნერის, რაშკოვსკი-ბანტურის შედეგები ასეთია: სოხუმის „დინამო“-სამტრედიის „ოლიმპიური“ — 2:1, ფოთის „ტორპედო“-ბაკურიანი „მეშახტე“ — 1:1, ლენინგრადის „ზენიტი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 0:1, რუსთავი-„ტალერგი“-გორის „დინამო“ — 2:0, ოქტემბერიანის „სპარტაკი“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 1:0, აშტარაკის „ოლიმპია“-ნახიჩევანის „არაზი“ — 0:1, კიროვაბადის „ქიაფაზი“-ბაკურიანი — „გიანჯლიკი“ — 2:0, მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-აშხაბადის „კოლხოზჩი“— 5:1.

პარიზში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების (16 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეთა წილისყრა. ეს შეჯიბრება გაიმართება საბერძნეთში 1-დან 10 მაისამდე. წილისყრით გუნდები ასე განაწილდნენ: **„ა“ ჯგუფი.** შოტლანდია, პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი; **„ბ“ ჯგუფი.** ბულგარეთი, შვეიცარია, ესპანეთი და ნორვეგია; **„გ“ ჯგუფი.** დანია, ჩეხოსლოვაკია, გდრ და ავსტრია; **„დ“ ჯგუფი** — საფრანგეთი, რუმინეთი, ჰოლანდია და სსრ კავშირი. შეგახსენებთ, შარშანდელ ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

თბილისელი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე საუკეთესო იყო ესპანეთის ქალაქ მალაგაში გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე. მან 10 შეხვედრელში 7,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული ესპანელი მიგელ ილესკაზი.

მაბილიზის ჩოგბურთი. პრაღაში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა ფლორა ბულატოვამ (მოსკოვი) და ელენე კოვტუნმა (ხარკოვი) წყვილთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს. ერთეულთა ასპარეზობაში ბულატოვა ვერცხლის მედალს დაეუფლა. გუნდურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ცურვა. ქალაქ კოვენტრში (ინგლისი) გამართულ დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის და სსრ კავშირის მატჩზე ორი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სალნიკოვმა. იგი უძლიერესი იყო 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით (15.35,97) და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (3.55,63).

წყალბურთი. მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის (20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა გუნდები) ორი შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და დანის ნაკრებ კოლექტივებს შორის. საბჭოთა წყალბურთელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს (21:4 და 15:3) და ახლა ისინი იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიმართება 21-27 ივლისს.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ეზოში, სამეზობლო მიჯნაზე

ეზოში, სამეზობლო მიჯნაზე გავლებულ მავთულბადის ღობესთან ორი პატარა ბიჭი ჩაცუცქულა. იერზე ეტყობათ, ძმები არიან. უფროსი ექვსისა იქნება, მეორე, ალბათ, — ორიოდე წლით უმცროსი.

მიცუცქულან ღობესთან და მთელი გულისყური მეზობლის ეზოში მოთამაშე ბავშვებისათვის მიუპყრიათ.

— გიორგი, მოდი გადავძვრეთ. — აგულიანებს პატარა უფროს ძმას და პასუხის მოლოდინში სახეში შესციცინებს.

— დაეტე მანდ, — მწყრალად ეუბნება გიორგი. ძმის წინადადება რატომღაც აღიზიანებს.

— რა იყო, არ გინდა თამაში?

— გააჩუმე, ბიჭო, ენა!

— მაშინ მე გადავძვრები.

— სად უნდა გადაძვრე, გაგიჟდი?!

— ავალ ლეღვზე და გადავხტები... შენ ხომ გადახტი ერთხელ.

— სულელო, გინდა კისერი მოიტეხო!

— არაფერიც, ავალ და გადავხტები, — და ბიჭუნა ისე გულდაგული გაემართა ლეღვი, ეგონა, ამ მდგარი ტოტებგაბარაჯღული ლეღვისაკენ, თითქოს მართლაც შესძლებოდა ხეზე ასვლა და ღობეზე ციმციმ გადავლება. მისმა გულდაჯერებულმა ქადილმა უფროსი ძმაც კი დაიკვეჭა: მართლა არ აციოდეს ხეზე და იქიდან არ მოადინინოს მეზობლის ეზოში ზღართანი.

— ირაკლი, გცემ! — დაუყვირა მან და ფრინ გადაუფდგა.

— თამაში მინდა მე, — არ ცხრებოდა. პატარა, — ჭიშკრიდან შემოვიელი და მაინც ჩავალ.

— სანამ არ გაილახები, არ გაჩერდები შენ, ბებიას დავუძახებ, იცოდე!

ამ მუქარამ გასჭრა ბოლოს, ბიჭმა ერთი კი გახედა ალმაცერად წინკარს, სადაც ბებია ეგულებოდა. მერე ზობრუნდა და ძმას მივარდა გაოფთრებული:

— რა გინდათ, რა გინდათ ჩემგან, თავი დამანებეთ! არ ვითამაშო? რატომ არ მიშვებთ გიასთან და ჯემალთან? — უმწეობისა და სასოწარკვეთისაგან ბავშვს ცრემლი მოერია, ჩაჯდა იქვე ხის ძირში, მოლზე და ტირილი დაიწყო.

გიორგი მივიდა, გვერდით მიუჯდა, დაუყვავა და მოეფერა. განა არ ეცოდება პატარა ძმა, მაგრამ რა ქნას, რა უყოს! თვითონ კი კარგ დღეშია? მეზობლის ბავშვებთან სათამაშოდ ვერ გადასულან ბიჭები, ვერც ისინი გადმოდიან აქეთ, იმიტომ რომ უფროსები — ბებიები და ბაბუები, დედები და მამები არიან ერთმანეთში უბრად და უმზრახად. სულ რაღაცაზე დავობენ და ჩხუბობენ, ნეტავი რა აქვთ ამდენი სადავო და საჩხუბარი?!..

ეჰ, ამ პატარა ბიჭებს კი არა, უფროსებსაც თავსატეხად გახდომიათ ეს გამოცანა.

დღეს მთელმა ქობულეთმა იცის ეს ამბავი, და ყველა ერთხმად აღიარებს და დაასკვნის: ხარ გადმოსული ჩემს ეზოში, მეტი თუ არა.

— სასაცილოდ და სახუმაროდ არ მცალია მე, ესაა საზღვარი, მორჩა და გათავდა!

— ძალადობაზე გადმოდი, არა?!.. სახლის გარშემო შემოსავლელი ადგილიც არ დგეტოვებია, ისე მოახვეტე საძირკვლამდე მიჯნა. ესეც სწორია, ხომ?!

— ისე მოითხოვა საქმემ, ლარში გავასწორე საზღვარი.

— მაგ ლარით და ხაზით იარე შენ!

— ვივლი, აპა, შენ გიყურებ?!

— რაკი მსაყა, აწი მე მაცალე, არ იფიქრო, დაგითმო და შეგარჩინო რამე!

ის დღე იყო და, სამეზობლო ალაგე სამუდამოდ მოშალეს, ეზოთა საზღვარზე გავლებული ღობე სადემარკაციო ხაზად გამოაცხადეს და ერთმანეთის საკოცნელი ტუჩი, სალანძღავად გაიხადეს.

საქმე ამით რომ დამთავრებულიყო, ჯანდაბას, კიდევ არაფერი, ხდომა და რადაც უნდა დაჯდომოდა, მოერიგებინა მეზობლები და ბოლო მოეო ამ დავისათვის.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმაც მრავალი წლის გამოცდილებით მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს იოლი საქმე არ იყო, მაგრამ არც ის ეგონათ, თუ გამსვლელი სხდომის მოწყობა ასე გაუძნელდებოდათ. იმდენნი, გაუთვალისწინებელმა წვრილმანმა იჩინა თავი, რომლებზეც ადრე არც კი დაფიქრებულან. უწინარეს ყოვლისა კომისიის გამსვლელი სხდომის გამართვის ადგილის შერჩევის მტკივნეული საკითხი წამოიჭრა და დიდადაც შეაფიქრიანა და შეაშფოთა ამ გარემოებამ თავმჯდომარე და კომისიის წევრები. იმიტომ კი არა, რომ საანგებო კლუბები და დარბაზები იყო საჭირო სხდომისათვის. ზაფხული იყო და სახლში თუ არა, შეეძლოთ ეზოშიც, ჩრდილში გაეშართათ სხდომა. მაგრამ რომელ ეზოში უნდა მომდგარ ყველა მხარეს. თუმცა არც ისე იოლად მომხდარა ეს, როგორც ენა იტყვის: აქ კედევ ერთი თავსატეხი საკითხი წამოიჭრა. კომისიის წევრები თავმჯდომარიანად ხუთნი იყვნენ, როგორ ხდებოდა ხუთი კაცი სამად გაგეყო და გაგენაწილებინა. მაგრამ გამოსავალი აქაც იპოვეს: თავმჯდომარე ორ კაცად იანგარიშეს და ყველაფერი მოგვარდა.

ასე და ამგვარად კომისიის ორორი წევრი გეწაძის და ბეჟანიძის ეზოებში განაწილდნენ, ხოლო თავმჯდომარე ყულეჯიშვილის ეზოდან ხელმძღვანელობდა კომისიის გამსვლელ სხდომას.

კომისიამ, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯერ მშვიდობიანი მორიგება სცადა მეზობლებისა: რა გაკვთ საჩხუბარი, ერთი ხელის დადება მიწისათვის მტრად როგორ უნდა გადაეკიდოთ ერთმანეთსო, დიდი-დიდი ათი კონა ქინძი და ერთი კალანჩხა კიტრი მოგვიდეთო მაგ მიწაზე.

— პირობას გაძლებენ ჩემი ხელით მოგიტანთ ყოველ წელიწადს ათ-ათ კონა ქინძს და თითო კალათა კიტრს, — დაპირდა მოჩხუბართ თვით კომისიის თავმჯდომარე და ისეთი სახე მიიღო, ეტყობოდა, მზად იყო კიდევაც შეესრულებინა სიტყვა, ოღონდ კი ამ წამებას გადარჩენილიყო. მაგრამ უმალვე მიხვდა ამით მეტისმეტად დაიმცირებდა თავს და უცებ გაიცინა, ნათქვამი ხუმრობაში გადაატარა.

— არაო, — თავისაზე იდგნენ მოდავენი, — ჯერ ერთი, მიწა კიტრად ჩასაგდები არ გახლავთ და არც ქინძის კონებზე დასახურდაგებელიაო. მეორეც, აქ მთავარი პრინციპია და არა მიწაო.

აჰ, არა, ამათთან კამათი და ლაპარაკი შეუძლებელი იყო. კომისიასაც რა ექნა, რაკი მეზობლების მშვიდობიანი მორიგება არ ხერხდებოდა, თვითონ უნდა გაერჩია სამართალი და აღმასკომისთვის წარედგინა თავისი დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგრამ ამ დასკვნის გამოტანა არ გინდოდა! მოდავეთაგან ყველას ხომ ვერ გაამართლებდი. ერთ-ერთი მაინც ხომ უნდა გაგემტყუნებინა! და სწორედ ეს იყო კომისიის მთავარი გასაჭირი, — გამტყუნებული აუცილებლად თავდადან იჩივლებდა, გამოუჩნდებოდნენ პროტექტორები და მეურვენი და ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა: კომისიები, გაზომვები, შემოწმებები, ჩხუბი და ათასი ჯახანა და დოზანა.

ეს ჩვენი კომისიაც, ამ დავის ათი წლის თავზე რომ შეიქმნა, მაინც თავისას ცდილობდა, საიუბილეო იყო და არ უნდოდა თავი შეერცხვინა.

— ყველა ხერხი და ღონისძიება ნაცადი და გამოყენებულია მეზობლებს შორის საზღვრის დასადგენად, ახლა ერთიც უნდა ვცადოთ და გამოვიყენოთ, — წინადადება წამოაყენა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, — იქნებ არქეოლოგიური გათხრები მოგვეწყო და ექსპერტები მოგვეწვია.

— არქეოლოგიური გათხრები რას მოგვცემს, — დაეჭვდა თავმჯდომარე.

— იქნებ ძველი ოჯახური ყოფის ნაშთები აღმოვაჩინოთ.

— მაგალითად?

— კერძოდ, მე მხედველობაში მაქვს ძველ ნახაზებში აღნიშნული გეწაძის ფეხსადგილი, ამჟამად გაუქმებული... ვერ მიხვდითო? თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოვაჩენთ ფეხსადგილის ხაძს და იგი ყულეჯიშვილის ეზოში აღმოჩნდება, ყველაფერი ნათელი გახდება.

— ყულეჯიშვილი იტყვის ჩემიაო, რას უზამ.

— სწორედ ამისთვისაა საჭირო ექსპერტი, ქიმიური ანალიზს სად წაუვა. ანალიზით დადგინდება, ვის ეკუთვნის ფეხსადგილი. მართალია, ამისათვის შედარებითი ანალიზიცაა საჭირო, მაგრამ არა უშავს რა ეს ხალხი ხომ ცოცხალია და აგერ გვყავს...

ეს აზრი ყველას ჭკუაში დაუჯდა და კომისიამ ასეც დაადგინა: დაეწყოთ არქეოლოგიური გათხრები, მოეწვიოთ ექსპერტი და მისი დასკვნის მიღებამდე გადაედოთ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა.

ამასობაში რედაქციამდეც მოაღწია მოჩხუბარი მეზობლების განცხადებებმა და საჩივრებმა. ბაგრამ ჩვენ რა, ეურნალისტებს რა შეგვიძლია. ჩვენ არც ექსპერტები გვყავს, არც ბუნენ და მოსაძარცლენ 'და, საერთოდ, კომპეტენტური და უფლებამოსილნიც არა ვართ ასეთი დავა გადაწყვეტოთ. სამაგიეროდ, კალამი გვიჭირავს ხელში და გაზეთი გვაქვს კარგთა და ავთა ამბავთა საუწყებლად და სათხრობად და საზოგადოებრივ სამსჯიროზე გამოსატანად.

მერედა, ღირდა კი ათი კონა ქინძის და ერთი კალანჩხა კიტრის გამო ატეხილი ეს დავა ფელეტონად და გაზეთში გამოსაქენებლად?

ღირდაო!... თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, რა გუნებაზე დგაყენთან აქ მოთხრობილმა ამბავმა, თავად... ავტორი კი ამ უკბილო ფელეტონს კი არა „ეშმაკის მათრახსაც“ არ დაიმურებდა ამ ავი მეზობლებისათვის და იმათთვისაც, ვისაც ეს უბრალო მეზობლური დავა ათ წელიწადზე მეტია ვერ გადაუწყვეტია.

მიხეილ მიქაძე.

სამეზობლო-სადემარკაციო ხაზი

ფელეტონი

მაგრამ ვაის უი მაშინ დაერთო და ცეცხლზე ნავთი მაშინ დაესხა, როცა ამ ჩხუბსა და დავაში მესამე მეზობელი, ჯემალ ბეჟანიძეც ჩაება (ისიც იმასვე ჩიოდა, სახღვარი დამორღვიეს და შემოსახესო) და სიტყვიერმა შეხლა-შემოხლამ და ლანძღვა-გინებამ წერილობითი ხასიათი მიიღო — საჩივრები და განცხადებები წეროებივით გამწკრივდა და გაეკიდა ერთმანეთს სხვადასხვა ინსტანციებში.

მას აქეთ აგერ უკვე მეთერთმეტე წელია და კვირა ისე არ გავა, ახალი კომისია არ მოვიდეს შესამოწმებლად ქალაქისა თუ რაიონული საბჭოს აღმასკომიდან, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოდან თუ პროკურატურიდან... მოვლენ, იკვლევენ, იძიებენ, ზომავენ, ბაზავენ, ანგარიშობენ, წაიღენ და ჩვენი ჭირვეული მეზობლები ახალ საჩივრებსა და განცხადებებს დაადევნებენ: ის თქვენი გაზომილი და შემოწმებული ხელახლა გასაზომი და შესამოწმებელიაო. ის თქვენი სანტიმეტრებიანი ზონარი იწელება და ყოველ ათ მეტრზე ცამეტი მილიმეტრის სხვაობას იძლევა და ძალიანაც რომ მოინდომოთ, გაზომვა ზუსტი არ გამოგივათო და სხვა და ა. შ.

ყველაზე დიდი გამჭრიახობა ამ მეზობლური დავის მეათე წლისთავზე გამოგზავნილმა, რიგით ოთხმოცდამეთვრამეტე კომისიამ გამოიჩინა, როცა გადაწყვიტა ადგილზე, მოდავე მეზობლების თანდასწრებით და მონაწილეობით გაეგმართა კომისიის გამსვლელი ხდომა ეზოებში, ერთმანეთის ანა თუ საზღვარი ამ ჩხუბსა და ავ-ბედობაში ერევა, ეზოთა საზღვარი ერთ-ერთ